

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“
ფინანსური ანგარიშგება
და
მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერი

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“ სარჩევი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე	3
ფინანსური მდგომარების ანგარიშგება	7
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11
ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდი	34
მმართველობის ანგარიშგება	35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ „კომპანიისგან“, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

აუდიტორის ხელმოწერა:

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია“-ს (ს/კ: 205198212) (SARAS-F-798362) სახელით
გარიგების პარტნიორი გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286)

თბილისი
25 სექტემბერი, 2025 წ.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

აუდიტორის ხელმოწერა:

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია“-ს (ს/კ: 205198212) (SARAS-F-798362) სახელით
გარიგების პარტნიორი გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286)

თბილისი
25 სექტემბერი, 2025 წ.



შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	3,227,215	3,034,974
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,227,215	3,034,974
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	6,087,980	2,776,185
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3,690,162	3,841,295
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	6,449,328	7,603,136
სულ მოკლევადიანი აქტივები		16,227,470	14,220,616
სულ აქტივები		19,454,685	17,255,590
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	24,686	24,686
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	9	399,281	(617,991)
სულ კაპიტალი		423,967	(593,305)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	11,517,000	4,321,120
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,517,000	4,321,120
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	-	457,974
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	7,372,636	12,699,684
წმინდა საგადასახადო ვალდებულება	12	141,082	370,117
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,513,718	13,527,775
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		19,454,685	17,255,590

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი: აჰმეთ ჰამდი ბურგაჩოღლუ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-34 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	3,227,215	3,034,974
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,227,215	3,034,974
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	6,087,980	2,776,185
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3,690,162	3,841,295
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	6,449,328	7,603,136
სულ მოკლევადიანი აქტივები		16,227,470	14,220,616
სულ აქტივები		19,454,685	17,255,590
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	24,686	24,686
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	9	399,281	(617,991)
სულ კაპიტალი		423,967	(593,305)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	11,517,000	4,321,120
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,517,000	4,321,120
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	-	457,974
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	7,372,636	12,699,684
წმინდა საგადასახადო ვალდებულება	12	141,082	370,117
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,513,718	13,527,775
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		19,454,685	17,255,590

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი: აჰმეთ ჰამდი ბურგაჩოღლუ



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-34 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	13	25,100,965	23,916,968
თვითღირებულება	14	(13,327,387)	(12,954,473)
საერთო მოგება		11,773,578	10,962,495
მიწოდების ხარჯები	15	(8,379,125)	(6,817,367)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(1,006,878)	(994,337)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(17,610)	(16,381)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	1,204
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		2,369,965	3,135,614
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(28,109)	(946,138)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან	17	(266,327)	(164,001)
ფინანსური ხარჯი	18	(1,058,257)	(1,287,774)
მოგება დაბეგვრამდე		1,017,272	737,701
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		1,017,272	737,701
სხვა სრული შემოსავალი			
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		1,017,272	737,701

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი: აჰმეთ ჰამდი ბურგაჩოღლუ

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-34 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	13	25,100,965	23,916,968
თვითღირებულება	14	(13,327,387)	(12,954,473)
საერთო მოგება		11,773,578	10,962,495
მიწოდების ხარჯები	15	(8,379,125)	(6,817,367)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(1,006,878)	(994,337)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(17,610)	(16,381)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	1,204
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		2,369,965	3,135,614
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(28,109)	(946,138)
ზარალი საკუთრივ სხვაობიდან	17	(266,327)	(164,001)
ფინანსური ხარჯი	18	(1,058,257)	(1,287,774)
მოგება დაბეგვრამდე		1,017,272	737,701
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		1,017,272	737,701
სხვა სრული შემოსავალი			
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		1,017,272	737,701

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი: აკმეთ ჰამდი ბურგაჩოლლუ



საქმიანობის შედეგების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-34 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	24,686	(1,355,692)	(1,331,006)
წლის მოგება	-	737,701	737,701
მთლიანი სრული შემოსავალი	-	737,701	737,701
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	24,686	(617,991)	(593,305)
წლის მოგება	-	1,017,272	1,017,272
მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,017,272	1,017,272
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	24,686	399,281	423,967

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი: აკმეთ ჰამდი ბურგაჩოღლუ

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-34 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	24,686	(1,355,692)	(1,331,006)
წლის მოგება	-	737,701	737,701
მთლიანი სრული შემოსავალი	-	737,701	737,701
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	24,686	(617,991)	(593,305)
წლის მოგება	-	1,017,272	1,017,272
მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,017,272	1,017,272
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	24,686	399,281	423,967

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი: აკმეთ ჰამდი ბურგაჩოღლუ



კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-34 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	შენ.	2024	2023
წლის მოგება		1,017,272	737,701
<i>კორექტირება:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	890,232	843,266
წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	17	(266,327)	(164,001)
ფინანსური ხარჯი	18	1,058,257	1,287,774
ფულადი სახსრები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		2,699,434	2,704,740
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება		147,241	(402,477)
მარაგების ცვლილება		(3,311,795)	702,069
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება		(5,287,129)	3,629,000
საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება		(229,035)	255,304
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში		(5,981,284)	6,888,636
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	5	(1,082,473)	(230,564)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(1,082,473)	(230,564)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები		11,744,090	-
დაფარული სესხები		(6,014,785)	(6,337,281)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		5,729,305	(6,337,281)
ფულადი სახსრების გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგი		180,644	205,104
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა (კლება)/ზრდა		(1,153,808)	525,895
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		7,603,136	7,077,241
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს		6,449,328	7,603,136

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი: აჰმეთ ჰამდი ბურგაჩოღლუ

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-34 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	შენ.	2024	2023
წლის მოგება		1,017,272	737,701
<i>კორექტირება:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	890,232	843,266
წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	17	(266,327)	(164,001)
ფინანსური ხარჯი	18	1,058,257	1,287,774
ფულადი სახსრები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		2,699,434	2,704,740
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება		147,241	(402,477)
მარაგების ცვლილება		(3,311,795)	702,069
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება		(5,287,129)	3,629,000
საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება		(229,035)	255,304
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში		(5,981,284)	6,888,636
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	5	(1,082,473)	(230,564)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(1,082,473)	(230,564)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები		11,744,090	-
დაფარული სესხები		(6,014,785)	(6,337,281)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		5,729,305	(6,337,281)
ფულადი სახსრების გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგი		180,644	205,104
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა (კლება)/ზრდა		(1,153,808)	525,895
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		7,603,136	7,077,241
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს		6,449,328	7,603,136

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი: აჰმეთ ჰამდი ბურგაჩოღლუ



ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-34 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“ ს/ნ 404489433 („კომპანია“) დაარსდა 2015 წლის 12 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი მფლობელი არის სააქციო საზოგადოება „დეფაქტო ფერაქენდე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი“, 540153-0. რომელიც თურქეთში დარეგისტრირებული კომპანიაა, აწარმოებს და ყიდის DEFACTO ბრენდის საქონელს.

კომპანიის ერთპიროვნული დირექტორი არის: აჰმეთ ჰამდი ბურგაჩოღლუ, 22586100790, U23817455 /თურქეთი/

კომპანია იყენებს თურქული ე.წ. ომნი-არხული საცალო ქსელის სავაჭრო ნიშანს. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტანსაცმლით, სუნამოებითა და ფეხსაცმლით ვაჭრობა სპეციალიზირებულ საცალო მაღაზიებში. კომპანია აწარმოებს საქონელს თურქეთში. საქართველოში წარმოდგენილია კომპანიის 7 საცალო მაღაზია, რომლებიც მდებარეობს თბილისში, ბათუმში, რუსთავში, გორსა და ქუთაისში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, თვალჭრელიძის ქუჩა №2. ხოლო ადმინისტრაციული ოფისი, ადმინისტრაციის ექვსი თანამშრომლის გუნდით განთავსებულია მერაბ ალექსიძის პირველი შესახვევი N3-ში.

2024 წლის საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიაში დასაქმებულია საშუალოდ 133 თანამშრომელი.

საოპერაციო გარემო

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

2 მომზადების საფუძველი

2.1 ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულებების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც აღრიცხულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

2.4 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი (შემდგომში “ქართული ლარი”), როგორც ვალუტა, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული), რადგან მენეჯმენტი თვლის, რომ ეს ვალუტა უფრო სასარგებლოა თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

2.5 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე საანგარიშგებო პერიოდისთვის, აგრეთვე შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე. ეს შეფასებები ემყარება მენეჯმენტის საუკეთესო ცოდნას მიმდინარე მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები საბოლოოდ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან და თავდაპირველი შეფასებები და ვარაუდები შეიცვლება საჭიროებისამებრ იმ წელს, როდესაც გარემოებები შეიცვლება.

2.6 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა (“IASB”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (“IFRIC”) მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2024 წლის 1 იანვრიდან.

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ცვლილებები ფასს 16 იჯარაში – საიჯარო ვალდებულებები უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში - შესწორებებს არანაირი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;
- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმებები.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტები და განახლებები არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ბასს 21 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგებში - ურთიერთგაცვლის შეზღუდული არსებობა;
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები;
- ფასს 19 - შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

3.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
1 აშშ დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

3.2 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს დროის კონკრეტულ მომენტში ან დროთა განმავლობაში სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

2024 საანგარიშო წლის განმავლობაში, კომპანიის ძირითად შემოსავლებს წარმოედგენს ტანსაცმლით, სუნამოებითა და ფეხსაცმლით ვაჭრობა სპეციალიზირებულ საცალო მაღაზიებში.

3.3 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

3.4 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას და მშენებარე აქტოვებს ცვეთა არ ერიცხება. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ქვემოთ ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	1-15
ავეჯი და ინვენტარი	4-6
კომპიუტერები	4-7
ოფისის აღჭურვილობა	5-15
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10
სხვა ძირითადი საშუალებები	1-15

3.6 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება.

ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად. გაყიდვის შემთხვევაში მარაგები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაფერისია).

ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირებისთვის განსაზღვრული და გამოყენებული აქტივებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI ან (FVTPL) .

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL)“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვალისწინებს პოტენციურ ვალდებულებების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშების დროს.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

3.8 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

3.9 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.

3.10 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

4.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

5 ძირითადი საშუალებები

საბალანსო ღირებულება	მანქანა დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	კომპიუტერები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
01/01/2023-სთვის	352,680	2,832,472	5,096,814	8,025	594,636	82,709	8,967,336
შემენა	10,272	-	143,195	18,298	46,947	11,852	230,564
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
31/12/2023-სთვის	362,952	2,832,472	5,240,009	26,323	641,583	94,561	9,197,900
შემენა	30,702	57,672	973,887	5,890	-	14,322	1,082,473
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
31/12/2024-სთვის	393,654	2,890,144	6,213,896	32,213	641,583	108,883	10,280,373
01/01/2023-სთვის	(219,213)	(2,067,752)	(2,422,921)	18,520	(474,458)	(153,836)	(5,319,660)
წლის ცვეთის დარიცხვა	(50,363)	(96,538)	(631,862)	(9,343)	(38,096)	(17,064)	(843,266)
ცვეთის ელიმინაცია	-	-	-	-	-	-	-
31/12/2023-სთვის	(269,576)	(2,164,290)	(3,054,783)	9,177	(512,554)	(170,900)	(6,162,926)
წლის ცვეთის დარიცხვა	(44,881)	(56,504)	(719,311)	(12,197)	(36,929)	(20,410)	(890,232)
ცვეთის ელიმინაცია	-	-	-	-	-	-	-
31/12/2024-სთვის	(314,457)	(2,220,794)	(3,774,094)	(3,020)	(549,483)	(191,310)	(7,053,158)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2023 წლის 31 დეკემბერი	93,376	668,182	2,185,226	35,500	129,029	(76,339)	3,034,974
2024 წლის 31 დეკემბერი	79,197	669,350	2,439,802	29,193	92,100	(82,427)	3,227,215

მოლიანი ცვეთის ხარჯი ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მე-15 შენიშვნაში.

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

6 მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31/12/2024	31/12/2023
მარაგები	5,989,757	2,747,468
სხვა მარაგები	98,223	28,717
სულ მარაგები	6,087,980	2,776,185

მარაგების თვითღირებულება, რომლებიც აღიარდა ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში 2024 წლის პერიოდის მანძილზე შეადგენს 13,327,387 ლარს (2023: 12,954,473 ლარი).

კომპანიის ვალდებულებები არ არის მარაგებით უზრუნველყოფილი.

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2024	31/12/2023
ფინანსური აქტივები		
მოთხოვნები ადგილობრივი გაყიდვებიდან	140,551	133,360
სულ ფინანსური აქტივები	140,551	133,360
არაფინანსური აქტივები		
წინასწარ გაწეული ხარჯები მომსახურებისთვის	273,336	187,898
გადახდილი ავანსები მომწოდებელზე	3,276,275	3,520,037
სულ არაფინანსური აქტივები	3,549,611	3,707,935
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,690,162	3,841,295

- მოთხოვნის ყველა თანხა არის მოკლევადიანი.
- სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებასთან.
- სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო მოთხოვნები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19-ში.

8 ფული და ფული ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	12/31/2024	12/31/2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	268,949	388,345
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3,266,136	2,987,676
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,914,243	4,227,115
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,449,328	7,603,136

ფული და ფული ეკვივალენტები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19-ში

9 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება ორი ნაწილისგან: საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება. საწესდებო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 24,686 ლარს, 2024 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალი არ შეცვლილა. კაპიტალის შემადგენელ მეორე ნაწილს წარმოადგენს გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვილი ზარალი შეადგენდა 617.991 ლარს. 2024 წლის შედეგების შესაბამისად განიცადა ცვლილება და გაუნაწილებელმა მოგებამ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 399,281 ლარი. კომპანიის წლის მოგება შეადგენს 1,017,272 ლარს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ჯამური კაპიტალი შეადგენს 423,967 ლარს.

10 მიღებული სესხები

	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	-	457,974	11,517,000	4,321,120
	-	457,974	11,517,000	4,321,120

	მოკლევადიანი სესხები	გრძელვადიანი სესხები	სულ
31/12/2023	4,321,120	457,974	4,779,094
<u>ფულადი ნაკადების მოძრაობა</u>			
სესხის აღება	11,367,130		11,367,130
სესხის დაფარვა	(4,500,000)	(457,974)	(4,957,974)
სესხის დაბრუნება	-	-	-
გადახდილი პროცენტი	(1,056,811)		(1,056,811)
<u>არაფულადი ნაკადების მოძრაობა</u>			
დარიცხული პროცენტი	1,056,811	-	1,056,811
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	328,750	-	328,750
31/12/2024	11,517,000	-	11,517,000

კომპანიას აღებული აქვს ორი გრძელვადიანი უზრუნველყოფილი საბანკო სესხი, რომელთა დაფარვის ვადა არის 2026 წელი. ამ სესხებთან დაკავშირებული საშუალო საპროცენტო შეადგენს 12.6%-ს.

საბანკო სესხები უზრუნველყოფილია უძრავი და მოძრავი ქონებით.

სესხები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19-ში.

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31/12/2024	31/12/2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(4,050,942)	(3,899,368)
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისგან	(3,319,030)	(8,791,926)
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	(2,664)	(8,390)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(7,372,636)	(12,699,684)
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(7,372,636)	(12,699,684)

სავაჭრო ვალდებულებები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19-ში.

12 წმინდა საგადასახადო ვალდებულება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წმინდა საგადასახადო ვალდებულება შეადგენს 141,082 ლარს, სადაც საგადასახადო ვალდებულების ძირითადი ნაწილი მოიცავს გადასახდელი დღგ-ის ვალდებულებას. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა საგადასახადო ვალდებულება შეადგენს 370,117 ლარს, რომლის ძირითადი ნაწილი მოიცავს გადასახდელი დღგ-ის ვალდებულებას.

13 ამონაგები

	2024	2023
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	25,100,965	23,916,968
სულ შემოსავალი	25,100,965	23,916,968

2024 საანგარიშო წლის განმავლობაში, კომპანიის შემოსავალს წარმოადგენს ტანსაცმლით, სუნამოებითა და ფეხსაცმლით ვაჭრობა სპეციალიზირებულ საცალო მაღაზიებში.

კომპანიის მთლიანი შემოსავალი აღიარებულია დროის კონკრეტულ მონაკვეთში.

14 თვითღირებულება

	2024	2023
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	13,284,624	12,779,860
რეალიზებული წუნდებული პროდუქტის თვითღირებულება	-	91,794
სხვა რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	42,763	82,819
სულ თვითღირებულება	13,327,387	12,954,473

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

15 მიწოდების ხარჯი

	2024	2023
ცვლადი იჯარის ხარჯი	3,338,267	2,675,918
შრომის ანაზღაურების ხარჯი	2,472,658	2,168,793
მარკეტინგის ხარჯები	1,038,056	742,002
ცვეთა და ამორტიზაცია	890,232	843,266
დაცვის ხარჯი	278,500	161,646
რემონტი და საექსპლოატაციო ხარჯი	184,994	168,787
კომუნალური ხარჯები	17,376	15,376
სხვა ხარჯები	159,042	41,579
სულ მიწოდების ხარჯი	8,379,125	6,817,367

16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023
საკონსულტაციო ხარჯები	476,289	419,716
კომუნალური ხარჯები	284,070	301,244
ოფისის ხარჯები	54,527	44,842
საგადასახადო ხარჯი	46,862	44,486
ხელფასები	40,919	43,062
დაზღვევის ხარჯი	8,951	16,327
სამედიცინო უსაფრთხოების ხარჯები	1,792	1,288
სხვა ხარჯები	93,468	123,372
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,006,878	994,337

17 ზარალი საკურსო სხვაობიდან

	2024	2023
მოგება საკურსო სხვაობიდან	1,015,106	991,139
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(1,281,433)	(1,155,140)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(266,327)	(164,001)

18 ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი მოიცავს მიღებული სესხების პროცენტის ხარჯს. 2024 წლის განმავლობაში ფინანსური ხარჯი შეადგენს 1,058,257 ლარს, ხოლო 2023 საანგარიშო წლის განმავლობაში შეადგენს 1,287,774 ლარს.

19 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ფინანსური რისკის ფაქტორები

19.1 საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებებთან მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

19.2 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

შპს „დეფაქტო რითილ ჯი“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2024 წლის 31 დეკემბერი	ლარი	ევრო	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	3,535,085	-	2,914,243	6,449,328
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	48,844	-	91,707	140,551
სულ ფინანსური აქტივები	3,583,929	-	3,005,950	6,589,879
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	(4,500,000)	-	(7,017,000)	(11,517,000)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,715,455)	(69,701)	(3,587,480)	(7,372,636)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(8,215,455)	(69,701)	(10,604,480)	(18,889,636)
წმინდა პოზიცია	(4,631,526)	(69,701)	(7,598,530)	(12,299,757)

2023 წლის 31 დეკემბერი	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	3,376,021	-	4,227,115	7,603,136
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	133,360	-	-	133,360
სულ ფინანსური აქტივები	3,509,381	-	4,227,115	7,736,496
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	(4,779,094)	-	-	(4,779,094)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(12,699,684)	-	-	(12,699,684)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(17,478,778)	-	-	(17,478,778)
წმინდა პოზიცია	(13,969,397)	-	4,227,115	(9,742,282)

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო ან გაუფასურებულიყო დოლართან მიმართებაში 15%-ით მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
მოგება ზარალი	2024	2023	2024	2023
ლარის გამყარება	1,139,780	(634,067)	10,455	-
ლარის დევალვაცია	(1,139,780)	634,067	(10,455)	-

19.3 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს, მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადების ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

2024 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	140,551	-	-	140,551
ფული და ფულის ექვივალენტები	6,449,328	-	-	6,449,328
სულ ფინანსური აქტივები	6,589,879	-	-	6,589,879
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(7,372,636)	-	-	(7,372,636)
მიღებული სესხები	-	(11,517,000)	-	(11,517,000)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(7,372,636)	(11,517,000)	-	(18,889,636)
წმინდა პოზიცია	(782,757)	(11,517,000)	-	(12,299,757)

2023 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	133,360	-	-	133,360
ფული და ფულის ექვივალენტები	7,603,136	-	-	7,603,136
სულ ფინანსური აქტივები	7,736,496	-	-	7,736,496
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(12,699,684)	-	-	(12,699,684)
მიღებული სესხები	(457,974)	(4,321,120)	-	(4,779,094)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(13,157,658)	(4,321,120)	-	(17,478,778)
წმინდა პოზიცია	(5,421,162)	(4,321,120)	-	(9,742,282)

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

კომპანია ლიკვიდურობის რისკის შეფასებისა და მართვისას ითვალისწინებს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, განსაკუთრებით მისი ფულადი რესურსებისა და სავაჭრო მოთხოვნების გათვალისწინებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან მიღებული ფულადი ნაკადები კონტრაქტით გათვალისწინებულია 12 თვის განმავლობაში.

არ არის მოსალოდნელი, რომ ვადის ანალიზში შეტანილი ფულადი ნაკადები შეიძლება მნიშვნელოვნად ადრე მოხდეს ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობით.

19.4 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია მართავს თავის კაპიტალის სტრუქტურას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების შესაბამისად იმ იურისდიქციებში, სადაც კომპანია ოპერირებს.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

კაპიტალის რისკის მართვა	31/12/2024	31/12/2023
სულ კაპიტალი	423,967	-593,305
ნაღდი ფული და ფული ბანკში	6,449,328	7,603,136
კაპიტალი	6,873,295	7,009,831
სულ კაპიტალი	423,967	-593,305
სესხები	11,517,000	4,779,094
სრული ფინანსირება	11,940,967	4,185,789
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.58	1.67

20 გაუთვალისწინებელი გარემოებები

20.1 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ზემოთ ხსენებული ფაქტის გამო წარმოიშობა საგადასახადო რისკი, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს კომპანიის წარდგენაზე.

20.2 სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

კომპანია წარმოადგენს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც იზომება სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარების შემდეგ და დაჯგუფებულია 1-დან 3 დონემდე, იმის მიხედვით, თუ რამდენად დაკვირვებადია სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები აღწერილია ქვემოთ:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა არის ის, რაც მიიღება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასებიდან (არაკორექტირებული);
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა არის ის, რაც მიიღება 1-ელ დონეზე შემავალი კოტირებული ფასების გარდა სხვა მონაცემებიდან, რომლებიც დაკვირვებადია აქტივის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირ (ანუ ფასების სახით) ან ირიბად (ანუ ფასებიდან გამომდინარე);
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა არის ის, რაც მიიღება შეფასების ტექნიკიდან, რომელიც მოიცავს აქტივის ან ვალდებულების მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

20.3 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომელსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით და ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ

არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს სამართლიან ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

სამართლიანი ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოხდა მე-2 მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

21 დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- a. მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

- b. პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- c. ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- d. კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- e. ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- f. მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- g. დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისათვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

21.1 ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა შემდეგი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

31/12/2024

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,319,030)
-------------------------------	-------------

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა შემდეგი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

31/12/2023

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	87,815
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(8,791,926)

21.2 ოპერაციები მენეჯმენტთან

მენეჯმენტმა მიიღო შემდეგი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რომელიც ჩართულია ხელფასებსა და თანამშრომელთა სარგებელში

	2024	2023
ხელმძღვანელ პირებზე გაცემული ანაზღაურება	330,210	175,248
სულ:	330,210	175,248

22 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

23 ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 31 დეკემბრის 2024 წლის ბოლოსთვის დამტკიცდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი: აკმეთ ჰამდი ბურგაჩოღლუ

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

22 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

23 ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 31 დეკემბრის 2024 წლის ბოლოსთვის დამტკიცდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი: აკმეთ ჰამდი ბურგაჩოღლუ



შპს დეფაქტო რითეილ ჯი

2024 წლის

მმართველობითი ანგარიშგება

შინაარსი

საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა	გვ 1-2
კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმა	გვ 2-3
კომპანიის მმართველობა	გვ 3-4
ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ	გვ 4-5
კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	გვ 5
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	გვ 5
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	გვ 5
რისკები და შესაძლებლობები	გვ 5-8

საქმიანობის განვითარების, შედეგების და მდგომარეობის აღწერა

საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

შპს დეფაქტო რითეილ ჯი შპს ("კომპანია") დაფუძნდა 2015 წლის 12 მარტს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და შეიქმნა საქართველოს რეგულაციების შესაბამისად.

მისი 100 % წილის მფლობელია სააქციო საზოგადოება დეფაქტო ფერაქენდე თაჯარეთ ანონიმ შირქეთი (JSC DEFACTO PERAKENDE TİC. A.Ş.), დირექტორი - აჰმეთ ჰამდი ბურგაჩოღლუ. JSC DEFACTO PERAKENDE TİC. A.Ş- თურქეთში დარეგისტრირებული კომპანიაა, რომელიც აწარმოებს და ყიდის DEFACTO ბრენდის საქონელს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტანსაცმლის, სუნამოების და ფეხსაცმლის რეალიზაცია სპეციალიზირებულ საცალო მაღაზიებში. კომპანიას საქართველოში შემოაქვს საქონელი. საქართველოში კომპანიის 6 საცალო მაღაზია მდებარეობს თბილისში - 2 მაღაზია, ბათუმში - 2 მაღაზია, ქუთაისში - 1 მაღაზია, გორში - 1 მაღაზია და რუსთავში - 1 მაღაზია.

დეფაქტო-ს ბრენდის ერთ-ერთი მახასიათებელია მისი ხელმისაწვდომობა მოსახლეობის ყველა ფენისთვის. ამავდროულად, ამ ტანსაცმლის ხარისხის პარამეტრები ძალიან მაღალ დონეზეა.

კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმა

2024 წელს დაფიქსირდა საერთო ამონაგების ზრდა (25,100,965 vs 23,916,968 GEL).

ზრდის ფაქტორი განპირობებულია სწორი მარკეტინგული კამპანიით და ბრენდისადმი მომხმარებელთა ერთგულებით. საქართველოში წარმატებული მუშაობის წლების განმავლობაში, დეფაქტოს ბრენდმა აჩვენა, რომ ტანსაცმლისა და აქსესუარების ხარისხი ფასზე ბევრად მაღალია, და ეს უფრო მეტ ადამიანს იზიდავს კომპანიის მაღაზიებში. მაგალითად, წარმატებული იყო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდული და სპორტული ტანსაცმლის წარმოებას. ახალგაზრდა მყიდველები ყველაზე აქტიური მომხმარებლები არიან და ეს სფერო აჩვენებს მაღალ მოთხოვნას და გაყიდვებს

ლარის კურსის პოზიტიურმა დინამიკამ, რომელიც ბოლო პერიოდში დამკვიდრდა, სტაბილური საფუძველი შექმნა კომპანიის პროდუქციის იმპორტისა და საცალო ვაჭრობისთვის. ამავდროულად, თურქული ლირის გაცვლითი კურსი რჩება არასტაბილური და დაბალი და იმის გათვალისწინებით, რომ ტანსაცმლისა და აქსესუარების წარმოების ქარხნები მდებარეობს თურქეთში, კომპანიას შეუძლია უფრო კონკურენტუნარიანი ფასები მიაწოდოს მომხმარებელს.

COVID-19-თან დაკავშირებული ბოლო შეზღუდვები მოიხსნა და ქვეყანაში ტურისტული ნაკადი მნიშვნელოვნად გაიზარდა. შოპინგი ტურისტული აქტივობის ერთ-ერთი ელემენტია და ამან განსაკუთრებით გაზარდა გაყიდვები ბათუმის მაღაზიებში საკურორტო სეზონზე. ასევე, 2022 წლის მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოში ჩამოსული ექსპატების რაოდენობა და გაიზარდა პოტენციური კლიენტების რაოდენობა.

როგორც დრომ აჩვენა, 2020 წელს წამგებიანი მაღაზიების დახურვის გადაწყვეტილება სწორი იყო და ხარჯების შემცირებამ ხელი შეუწყო.

თუმცა უნდა აღინიშნოს, ეკონომიკური ეფექტის შენარჩუნებაში დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომელსაც ემატება კომპანიისგან დამოუკიდებელი გარემო ფაქტორები - სავალუტო კურსის ცვლილებები, მსყიდველობითუნარიანი მოქალაქეების არასაკმარისი ზრდა.

ასევე, სომხეთში ექსპორტი, რომელიც ომის გამო 2020 წელს შეწყდა, შემდგომში არ აღდგა.

მიუხედავად აღმოჩენილი გამოწვევებისა, კომპანია ორიენტირებულია მომავალზე და სურს უფრო მეტი საინტერესო გააკეთოს როგორც თავის ინდუსტრიაში, ისე მთლიანად საქართველოს ეკონომიკაში. კომპანია გეგმავს თავისი პორტფოლიოს კიდევ უფრო გამრავალფეროვნებას, რათა თავის მომხმარებლებს მისცეს ფართო არჩევანის საშუალება.

განვითარების გეგმასთან თანახმად, კომპანიის მენეჯმენტმა გადაწყვიტა კონცენტრირება მოახდინოს წარმატებული მაღაზიების წილის გაზრდაში და განვითაროს მაღაზიების ქსელი რეგიონებში. 2022 წელს ქალაქ რუსთავეში წარმატებით გაიხსნა მაღაზია, და ქალაქ გორში

ახალი მაღაზიის გახსნისთვის მოსამზადებელი სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა. კომპანიის სტრატეგია, გახსნას მაღაზიები რეგიონებში, წარმოადგენს როგორც დადებით ასპექტს კომპანიის განვითარებისთვის და ასევე სარგებელს მოაქვს ადგილობრივ მოსახლეობას. კომპანია უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის პროდუქციის ფართო არჩევანს და ასევე ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს რეგიონებში.

2022 წელს კომპანიამ განაგრძო სასაჩუქრე სერთიფიკატების მიწოდება თავისი მომხმარებლებისთვის. ამან შესაძლებელი გახადა მომხმარებელთა ლოიალობის გაზრდა, რაც მომგებიანია კომპანიისთვის და ასევე განაპირობა მომხმარებლის კომფორტი მაღაზიაში ყიდვისას.

კომპანიის ყველაზე დიდი კაპიტალი საკუთარი დასაქმებულებია,ის ძირითადი ბირთვი,რომელიც დაარსების დღიდან აგრძელებენ საქმიანობას კომპანიაში. კომპანიის პრიორიტეტია თანამშრომელთა სწავლება და ტრენინგი, რისი ხელშეწყობისთვისაც შექმნილია სპეციალური ონლაინ პლატფორმა DF Academy, რომელზეც აბსოლუტურად ყველა თანამშრომელს აქვს წვდომა. აღნიშნული პლატფორმის მეშვეობით, კომპანია უზრუნველყოფს თანამშრომელთა დატრენინგებას ჯერ კიდევ მუშაობის დაწყებამდე. სპეციალური საორიენტაციო პროგრამა მორგებულია ახალბედა თანამშრომლებზე და აწვდის მათ საბაზისო ინფორმაციას კომპანიაზე, საცალო გაყიდვების სფეროზე, „ხელმისაწვდომი მოდის“ კონცეფციაზე, DeFacto-ს ბრენდზე და ა.შ.

კომპანიამ 2015 წელს დაიწყო და შემდგომში განავითარა თანამშრომელთა ეფექტური განვითარების პროექტი, რაც გულისხმობს თითოეულ თანამშრომელზე ინდივიდუალურად შედგენის განვითარების პროგრამას, ფასდება თითოეული თანამშრომლის აღებული ვალდებულებების შესრულება და ამის მიხედვით გაიცემა გეგმის შესრულებასთან ერთად წლიური ბონუსი. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს თითოეული თანამშრომლის განვითარებას და ტალანტის გამოვლენას,რომელიც ეფექტურად იმოქმედებს კომპანიის საქმიანობაზე.

გარდა აღნიშნული პროექტისა,კომპანიაში მუშავდება სტრუქტურული ცვლილებები,რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის შიგნით ქსელის განვითარებას.

კომპანია აფასებს საკუთარ მომხმარებლის ლოალოას და წლიდან წლამდე ხვეწს მომსახურეობის და საქონლის ხარისხს.

დეფაქტოს ჯგუფი იცავს გარემოს ნახშირბადის გამონაბოლქვის შემცირებით, პლასტიკის გამოყენების შეზღუდვით. კომპანიამ აკრძალა მაღაზიებში პლასტიკური პაკეტების გამოყენება და იყენებს ქსოვილისგან დამზადებული სავაჭრო ჩანთების.

კომპანიის მმართველობა.

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო აქციონერთა საერთო კრებაა. კომპანიის დირექტორი ინიშნება საერთო კრების მიერ. კომპანიის საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ, კომპანიის ფინანსური საქმიანობის და მისი სამომავლო გეგმების განსახილველად.

კომპანიას მართავს დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია ყოველდღიურ ოპერაციებზე და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება აქვს. დირექტორი კომპანიის საქმიანობას გულმოდგინედ და ერთგულად ხელმძღვანელობს, იცავს წესდების დებულებას და მოქმედი კანონების მოთხოვნებს. კომპანიის საბჭო აღიარებს კორპორატიული მართვის კარგი პრაქტიკის წარმოების მნიშვნელობას და მხარს უჭერს კორპორატიული მართვის მაღალ სტანდარტებს.

თითოეულ მაღაზიას ჰყავს ორი მენეჯერი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მაღაზიის წარმატებულ ფუნქციონირებაზე. მენეჯერების მუშაობას კოორდინაციას უწევს რეგიონალური საოპერაციო ზედამხედველი.

კომპანიის ფუნქციონირების ადმინისტრაციული მხარდაჭერა უზრუნველყოფილია უფროსი ბუღალტერის, რეგიონალური ვიზუალ მერჩენდაიზერის და ადამიანის რესურსების მართვის სპეციალისტის მიერ.

კომპანია ყველა თანამშრომელთან აფორმებს ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებას, რომელიც მომზადებულია საქართველოს შრომის კოდექსზე დაყრდნობით და შრომის კოდექსში შემავალი ცვლილებების პარალელურად დრო და დრო რედაქტირდება.

კომპანიის ხელმძღვანელობა ზრუნავს საქართველოში არსებული მაღაზიების თანამშრომელთა უფლებების დაცვაზე კომპანიის ფარგლებში. საოპერაციო ნაწილში დასაქმებული თანამშრომლებისათვის ტარდება ყოველთვიური შეხვედრები HR-თან, სადაც თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა დააფიქსირონ ნებისმიერი სახის პრობლემა, რასაც აწყდებიან სამუშაო ადგილზე. კომპანიის სტრატეგია ამ მხრივ არის მჭიდრო კომუნიკაცია თანამშრომლებსა და HR დეპარტამენტს შორის, რათა თანამშრომელთა უფლებების დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა იქნეს გამოვლენილი და მოყვეს შესაბამისი ზომები.

საქართველოს კონსტიტუციითა თუ შრომის კოდექსით გაწერილი ადამიანის უფლებების დარღვევის თითოეულ ინციდენტს კომპანიაში აუცილებლად მოყვება შესაბამისი რეაგირება დისციპლინარული კომიტეტის და ადამიანური რესურსების დეპარტამენტის მხრიდან, თუმცა გვინახია, რომ ადამიანთა უფლებების შელახვის შემთხვევები კომპანიაში მინიმუმამდე დაყვანილი და პრაქტიკულად, არ ხდება.

ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები შესაძარისი მაჩვენებლებით შემდეგია:

	2024	2023	ცვლილება
ამონაგები	25,100,965	23,916,968	1,183,997
საერთო მოგება	11,773,578	10,962,494	811,084
საოპერაციო მოგება	2,369,965	3,135,614	-765,649
წმინდა მოგება	1,017,272	737,701	279,571

	2024	2023	ცვლილება
საერთო მოგების მარჟა	46,90%	45,84%	1,06%

(საერთო მოგება/ამონაგები)			
საოპერაციო მოგების მარჟა (საოპერაციო მოგება/ამონაგები)	9,44%	13,11%	-3,67%
წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება/ამონაგები)	4,05%	3,08%	0,97%
აქტივებზე უკუგება (წმინდა მოგება/საშუალო აქტივები)	5,54%	4,28%	1,26%

არაფინანსური მაჩვენებლები

	2024	2023	ცვლილება
სამუშაო ადგილების რაოდენობა	133	130	3
მაღაზიების რაოდენობა	7	7	0

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2022 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიას არ მიაჩნია ფასიანი ქაღალდები, დაშვებული საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

რისკები და შესაძლებლობები

კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვაზე და შიდა კონტროლზე. ვცდილობთ გვქონდეს რისკების ეფექტური და ძლიერი მართვა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. კომპანიის უმთავრესი პრიორიტეტია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც საჭიროა გახსნილობა და გამჭვირვალობა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ ვიღებთ გადაწყვეტილებას და ვმართავთ რისკებს.

კომპანიის ძირითადი პოტენციური რისკები და შესაბამისი რეაგირება მის შემცირებაზე ქვემოთ მოცემულია:

საოპერაციო რისკები:

სისტემატიურად მოწმდება კომპანიაში შესაძლო გადაცდომები, და მენეჯმენტი ახდენს გადაცდომების პრევენციას და ატარებს ინვენტარიზაციებს სასაქონლო.

სამუშაო პროცესში მონიტორინგის მიერ გამოვლენილი დანაკლისები არის კომპანიის გამოწვევა, რაც ვლინდება მომხმარებლების მიერ არაკეთილსინდისიერ მოპყრობაში, რაც იწვევს სარეალიზაციო პროდუქციის დაკარგვას. ამისათვის კომპანია ამცაგრებს უსაფრთხოების ნორმებს და დანაკარგის სიხშირიდან გამომდინარე ყველა მაღაზია უზრუნველყოფილია დაცვის სამსახურის ვიდეო კამერებით.

აგრეთვე, კომპანიას აქვს ძალიან მტკიცე ეთიკური ღირებულებები, რომელთა დაცვა და გათვალისწინება ყველა თანამშრომლის უშუალო პასუხისმგებლობაა. ჩვენი კომპანიის თითოეულ თანამშრომელს ხელი აქვს მოწერილი ე.წ დისციპლინარულ კონტრაქტზე, ისევე როგორც კომპანიის ინფორმაციის უსაფრთხოების ხელშეკრულებასა და კომპანიის შინაგანაწესზე. აღნიშნული დოკუმენტები არეგულირებს ეთიკის ნორმებს და უზრუნველყოფს ქურდობის, ქრთამისა და კორუფციის პრევენციას. გარდა ამისა, მაღაზიები არის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ, კამერების მეშვეობით, სათაო ოფისი აკვირდება თითოეული თანამშრომლის მოქმედებას (თანამშრომელთა ნებართვით) და ნებისმიერი საექვო ინციდენტის შემთხვევაში იწყება შიდა გამოძიება კომპანიაში. ეთიკური ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით ტარდება შიდა ტრენინგები და სპეციალური გადამზადება მაღაზიის მენეჯერებისთვის, რომლებიც თავის მხრივ, შემდგომში მაღაზიის თანამშრომლებს ატრენინგებენ ამ მიმართულებით.

პროდუქციის ყიდვა / შემოტანა ხდება მხოლოდ თურქეთიდან (დეფაქტო ფრტაქენდე თაჯარეთ ანონიმ შირქეთი). ოპერაციების დეპარტამენტი უზრუნველყოფს პროდუქციის შეძენას, ბაზრების მოთხოვნების დროულად და მომგებიანად დაკმაყოფილების მიზნით. პროდუქციის მარაგი მკაცრად კონტროლდება. მოვალეობების სეგრეგაციის მიხედვით, გაყიდვების და ინვენტარიზაციის მართვის ჯგუფები განსხვავებულია. მარაგების ინვენტარიზაცია ხორციელდება წელიწადში ერთხელ დამოუკიდებელი კონტრაქტორი კომპანიის მიერ. მენეჯმენტი მეთვალყურეობას უწევს ინვენტარიზაციის პროცესს.

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. უნდა აღინიშნოს რომ კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკების წინაშე საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე, რადგან იგი წარმოადგენს საცალო სავაჭრო კომპანიას.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესია.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

ვალუტის კურსის ცვლილებები

კომპანიის ხარჯების დიდი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად ლარის გაუფასურებამ შეიძლება შეამციროს წმინდა მოგება. აგრეთვე, კომპანიის საკრედიტო რისკს გასწევს იქედან გამომდინარე, რომ არსებობს სხვაობა ყიდვა-გაყიდვისა და სესხების ვალუტებს შორის. აღნიშნული რისკის მართვას კომპანიის მენეჯმენტი მუდმივ რეჟიმში ახორციელებს.

პანდემიასთან დაკავშირებული რისკი

2022 წელს COVID -19-ის გავრცელების ინტენსივობა შემცირდა, რამაც თავის მხრივ შეამცირა დატვირთვა სახელმწიფო და სამედიცინო დაწესებულებებზე. ქვეყანაში ეტაპობრივად მოიხსნა შეზღუდვები

მაგრამ ამის მიუხედავად, არ არის ცნობილი, როგორ მოახდენს ვირუსი შემდგომ მუტაციას და იქნება თუ არა მომავალში დაავადების ახალი აფეთქება. მოსალოდნელია, რომ თავად პანდემიამ და მისი შედეგების შესუსტებისთვის გატარებულმა ღონისძიებებმა იმოქმედონ სხვადასხვა მრეწველობაში მოღვაწე კომპანიების საქმიანობებზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ COVID-19-ის მომდევნო ტალღის შემთხვევაში, განუსაზღვრელობის მაღალი დონის გამო, ეკონომიკასა და კომპანიის საქმიანობაზე მისი ფაქტობრივი გავლენის შეფასება რთულია.

რეგიონალური დამაბულობა, რომელიც აისახება ქართულ ბაზარზე

კომპანია ფუნქციონირებს პოლიტიკურად აქტიურ რეგიონში, სადაც საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საქართველოს ეკონომიკაზე. ამ რისკის სრულად მართვა შეუძლებელია.

სამხედრო მოქმედებები უკრაინასა და რუსეთს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის - შესაძლოა გავლენა იქონიოს ლოგისტიკურ მარშრუტებზე, მზა პროდუქციის მიწოდებაზე და ა.შ. კომპანიამ უნდა გაანალიზოს სიტუაცია საერთაშორისო სანქციებთან დაკავშირებით და კონკრეტული ქმედებები უნდა გაკეთდეს იურიდიული დეპარტამენტის მიერ პოტენციური დარღვევების თავიდან ასაცილებლად.

ბაზარზე არსებული სიტუაცია

ზოგადი ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებამ შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის მდგომარეობაზე უარყოფითად. თუ ქვეყანაში გაუარესდა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორებიცაა ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები, უმუშევრობა და ა.შ., ეს შესაბამისად აისახება კომპანიის მომხმარებლის მსყვიდველობის უნარზე, რაც საბოლოო ჯამში უარყოფით გავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

აგრეთვე, ბაზრის ზრდა შემცირებულია, ხოლო კონკურენცია იზრდება, რამაც შესაძლოა გაზარდოს კომპანიის ოპერირების ხარჯები და შეამციროს კომპანიის წმინდა მოგება.

დირექტორი : აკმეთ ჰამდი ბურგაჩოღლუ

